**დანართი 1:**

**ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა**

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 28 ივნისის N34 დადგენილებით დამტკიცებულ განაშენიანების დეტალურ გეგმაში ცვლილების შეტანის შესახებ**

გაცნობებთ, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურში მიმდინარეობს წარმოება შპს „სეიფ ინვესტი“-ს (ს/ნ 445706095) 2025 წლის 24 მარტის N10/1425083894-14 განცხადების საფუძველზე, აფსაროსის გზატკეცილი, მე-2 შესახვევი, N16-ში და აფსაროსის გზატკეცილი, მე-2 შესახვევი N16-ის მიმდებარედ მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 05.36.22.130; 05.36.22.618) წარმოდგენილ გეგმარებით ერთეულზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების თაობაზე.

დაგეგმვის ობიექტს წარმოადგენს გეგმარებითი ერთეული, რომელიც მოიცავს 2 მიწის ნაკვეთს საკადასტრო კოდებით: 05.36.22.130; 05.36.22.618, საერთო ფართობით 20688 კვ.მ-ს. გეგმარებით ერთეულში მოქცეული საპროექტო მიწის ნაკვეთების სამშენებლოდ განვითარებისათვის დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების ძირითადი პარამეტრების/კოეფიციენტების ცვლილება არ არის დაგეგმილი. ცვლილება ითვალისწინებს მხოლოდ ავტოსადგომების რაოდენობისა და შენობის სიმაღლის დაზუსტებას, კერძოდ: ავტოსადგომების რაოდენობა განისაზღვრება 210 მიწისქვეშა. 220 მიწისზედა ავტოსადგომით, ხოლო შენობის სიმაღლე განისაზღვრება 55 მეტრით.

განაშენიანების დეტალური გეგმა ატვირთულია დანართის სახით, დაინტერესებულ პირებს გაქვთ შესაძლებლობა გაეცნოთ და წარმოადგინოთ თქვენი მოსაზრებები, როგორც წერილობითი ფორმით საჯარო განხილვამდე, ასევე დააფიქსიროთ საჯარო განხილვის დღეს.

განაშენიანების დეტალურ გეგმასთან დაკავშირებით საჯარო განხილვის ორგანიზება დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურს და აღნიშნულ წარმოებაზე საჯარო განხილვა გაიმართოს 2025 წლის 09 ივლისს 10 სთ-ზე.